*დანართი №1*

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს ედისონის სახელობის სკოლა ნოვაცია

შეფასების თარიღ(ებ)ი
21-22 ივნისი, 2022

დასკვნის წარდგენის თარიღი
05.07.2022



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება | **შპს ედისონის სახელობის სკოლა ნოვაცია** |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება** |
| საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | **406361299** |

| **ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:** | |
|---|---|
| დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | ✓ |
| საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | ✓ |
| საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | ✓ |
| საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | |
| საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | **ქ. თბილისი** |
| იურიდიული მისამართი | **ქ. თბილისი, ვაზისუბანი, მე-2 მ/რ** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ფაქტობრივი მისამართი | **ქ. თბილისი, ვაზისუბანი, მე-2 მ/რ** |
| საფოსტო ინდექსი | **0190** |
| დაწესებულების ვებ-გვერდი | **www.edison.edu.ge** |
| დაწესებულების ელ-ფოსტა | **info@edison.edu.ge** |
| დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი | **571871100** |
| **ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)** | **თამარ ჯანგულაშვილი** |
| ტელეფონის ნომერი/ფაქსი | **571871100** |
| ელ-ფოსტა | **t.jangulashvili@gmail.com** |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი | „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს ედისონის სახელობის სკოლა ნოვაციაში ვიზიტის შესახებ, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 14 ივნისის ბრძანება MES 5 22 0000639206. |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 21-22 ივნისი, 2022 |
| ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი) | ქეთევან ბოტკოველი |
| წევრი (სახელი, გვარი) | მაკა ნადარეიშვილი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

## IV. ვიზიტის შეჯამება

### ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| სტანდარტი/ქვესტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | **მუხლი 6** | ☒ | ☐ |
| 1.1 | სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | **მუხლი 6/ პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 1.2 | სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | **მუხლი 6/ პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 1.3 | სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. | **მუხლი 6/ პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | | | |
| 1.4 | სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | **მუხლი 6 / პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 1.5 | შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით | **მუხლი 6 / პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |
| 1.6 | შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | **მუხლი 6 / პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |
| **2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | **მუხლი 7** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.1 | დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | **მუხლი 7 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით | **მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)** | ☒ | ☐ |
| 2.1.2 | საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | **მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)** | ☒ | ☐ |
| 2.1.3 | სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | **მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.1.4 | სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | **მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)** | ☒ | ☐ |
| 2.2. | სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | **მუხლი 7 / პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 2.3 | სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | **მუხლი 7 / პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 2.4 | სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | **მუხლი 7 / პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 2.5 | სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი | **მუხლი 7 / პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | | | |
| 2.6 | სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | **მუხლი 7 / პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)** | ☒ | ☐ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.5 | კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | | | |
| 2.7 | სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | **მუხლი 7/ პუნქტი ზ)** | ☒ | ☐ |
| 2.8 | შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი | **მუხლი 7/ პუნქტი თ)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | | | |
| 2.9 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა | **მუხლი 7/ პუნქტი ი)** | ☒ | ☐ |
| **3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | **მუხლი 8** | ☒ | ☐ |
| 3.1 | სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | **მუხლი 8 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 3.2 | სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | **მუხლი 8 / პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 3.3 | სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | **მუხლი 8 / პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3.4 | მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | **მუხლი 8/ პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 3.5 | სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | **მუხლი 8/ პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |
| 3.6 | სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | **მუხლი 8/ პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |

**V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება**

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.*

| *სტანდარტი* | *საგანმანათლებლო პროგრამები* | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | *1.1.* | ..... |
| | *1.2.* | ..... |
| | | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი* | *მატერიალური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *2.2.* | ..... |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი* | *ადამიანური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *3.1.* | |
| | | |

**VI. რეკომენდაციების შეჯამება**

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.*

| *სტანდარტი* | *საგანმანათლებლო პროგრამები* | *რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | *1.1.* | ..... |
| | *1.2.* | ..... |
| | | |
| *სტანდარტი* | *მატერიალური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *2.1.* | ..... |
| | *2.2.* | |
| | | |
| *სტანდარტი* | *ადამიანური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *3.1.* | |
| | | |

**VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა** (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | |

| | |
|---|---|
| **დაწესებულების მისია** | ედისონის სახელობის სკოლა ნოვაციის მისიაა ჯანსაღ და უსაფრთხო სასკოლო გარემოში მისცეს მოსწავლეებს განათლება მდგრადი განვითარებისთვის და აღზარდოს ისინი მაძიებელ, შემოქმედ, პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეებად.<br>**ხელი შეუწყოს მოსწავლეებში**<br>- სამეწარმეო უნარების განვითარებას და სასკოლო საზოგადოების ინიციატივების წახალისებას;<br>- - გარემოზე, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე ზრუნვის, კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებისა და ტოლერანტობის უნარ-ჩვევების ფორმირებას.<br>**მისია მიიღწევა**<br>- მოსწავლის ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენის, მოსწავლის დამოუკიდებელი სწავლის უნარისა და შრომისუნარიანობის განვითარების ხელშეწყობით, თავისუფალი, კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების წახალისებით, შემოქმედებითი უნარების განვითარებით;<br>- ისეთი სასკოლო გარემოს ფორმირებით, რომელიც ეფუძნება ზოგადსაგანმანათლებლოდა წესებულების თვითშეფასებასა და სწავლა/სწავლების ისეთ გააზრებულ პრაქტიკას, სადაც სასკოლო საზოგადოება ორიენტირებულია საგანამანათლებლო საქმიანობის განვითარებასა და გაუმჯობესებაზე, მხარდამჭერი სასკოლო კულტურის წახალისებაზე, საუკეთესო პრაქტიკების გაზიარებასა და დანერგვაზე |

**VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა | |

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | | |
|---|---|---|
| მოსწავლეთა რაოდენობა: 350 | ექსპერტი ეთანხმება ☒ | აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
| | ექსპერტი არ ეთანხმება ☐ | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

## X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

### 1. საგანმანათლებლო პროგრამები

| 1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | შპს ედისონის სახელობის სკოლა ნოვაციამ წამოადგინა 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი. სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილებია:<br>➢ **სკოლის მისია და მისი მიღწევის სტრატეგია** - რომელიც გულისხმობს, მოსწავლეთა ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენას, სწავლისათვის ხელსაყრელი სასკოლო გარემოს შექმნას და ა.შ.<br>➢ **სწავლა-სწავლების კონცეპტუალური საკითხები** - იმეორებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ ხუთ ძირითად საგანმანათლებლო პრინციპს.<br>➢ **სასკოლო საათობრივი ბადე და სასწავლო პროცესის ორგანიზება** - სკოლა მუშაობის განხორციელებას გეგმავს სამივე (დაწყებით, საბაზო და საშუალო) საფეხურზე. სასწავლო პროცესის ორგანიზებაში გაწერილია: სასწავლო წლის დასაწყისი და დასასრული, გაკვეთილების დაწყება, და ხანგრძლივობა. შესვენებები გაკვეთილებს შორის. სასკოლო კალენდარი და სასწავლო პროცესის ორგანიზება ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას. საათობრივი ბადის თვალსაზრისით სკოლა ირჩევს საათობრივი ბადის პირველ მოდელს (ეროვნული სასწავლო გეგმის განსაზღვრული |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | საათობრივი ბადის უცვლელად დატოვება). საათობრივ ბადეში ასევე გაწერილია არჩევითი საგნები.<br>➢ **სკოლის საერთო კულტურა** - მოიცავს ძირითად პრინციპებს, თუ როგორ უწყობს ხელს სკოლა საერთო კულტურის განვითარებას. მაგალითად სასკოლო საზოგადოებაში ურთიერთპატივისცემისა და თანასწორობის პრინციპების დაცვას, შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემოს შექმნას.<br>➢ **კლასის დამრიგებელი** - სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია კლასის დამრიგებლის მოვალეობები.<br>➢ **საგნობრივი კათედრები** - სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლაში იმუშავებს ექვსი საგნობრივი კათედრა. ამავე თავში გაწერილია საგნობრივი კათედრის ფუნქციები,<br>➢ **საგანმანათლებლო რესურსები** - აღნიშნულ პუნქტში მოცემულია საგანმანათლებლო რესურსების ტიპები, გრიფნიმიჭებული სახელმძღვანელოები, დამხმარე მხატვრული და შემეცნებითი ლიტერატურა, საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსი, თვალსაჩინოება და ა.შ.<br>➢ **არჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები** - სასკოლო სასწავლო გეგმაში, დანართის სახით, მოცემულია გრიფნიმიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა.<br>➢ **ინკლუზიური განათლება** - სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია ინკლუზიური განათლების ზოგადი პრინციპები, მოცემულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პრინციპები. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ➢ **მოსწავლის შეფასება** - მოსწავლის შეფასების სისტემა სრულად ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმების შეფასების პრინციპებს.<br>➢ **კლასისა და საფეხურის დაძლევა** - სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი ქულების გაანგარიშების წესი ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ ქულათა გაანგარიშების წესს.<br>➢ **გამოცდის ტიპები** - სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლაში ჩატარდება შემდეგი ტიპის გამოცდები: სემესტრული გამოცდა, საშემოდგომო გამოცდა და ექსტერნატის გამოცდა.<br>➢ **მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეები და შეფასების წესი** - გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან.<br>➢ **შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო რაოდენობა და ფორმები** - განსაზღვრულია.<br>➢ **გაცდენები:** სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით მოსწავლეთა დასწრება უნდა აღირიცხოს ყოველდღიურად, საბაზო-საშუალო საფეხურზე სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტის გაცდენის შემთხვევაში, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე.<br>➢ **შინ სწავლება** - სკოლა საგნის მასწავლებელთან შეთანხმებით ადგენს მოსწავლესთან განსახორციელებელი ვიზიტის განრიგს. შინ სწავლების პუნქტი ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას.<br>➢ **სავალდებულო საგნები:** სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა სავალდებულო საგანს. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ➢ **არჩევითი და ფაკულტატური საგნები:** სკოლა მოსწავლეებს მათი ინტერესის გათვალისწინებით შესთავაზებს მეორე უცხოურ ენად რუსულს, გერმანულსა და ფრანგულს. ასევე არჩევით საგანს X, XI და XII კლასებში.<br>➢ **ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი, საჭიროების დასაბუთება და აღწერილობა საგანმანათლებლო ღონისძიებები.**<br>სასკოლო სასწავლო გეგმას, დანართის სახით ახლავს დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი, საჭიროების დასაბუთება, მიზნები და რესურსები:<br>➢ **"ნოვატორთა სკოლა"** (V-XII კლასები), რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლეების ცოდნის გაღრმავებას და უნარების განვითარებას მათემატიკაში, ფიზიკასა და ქიმიაში, პროგრამირებასა და მონაცემთა მეცნიერებაში.<br>➢ სამოქალაქო განათლების კლუბი: **„მომავალი ჩვენია"** (VII, VIII, IX ,X, XI, XII კლასები). კლუბის მიზანია სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება, აქტიური მოქალაქის უნარ-ჩვევების გამომუშავება, უფლება მოვალეობების გააზრება, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა.<br>➢ **"ჭადრაკის წრე",** რომლის მიზანია: მოსწავლეს ასწავლოს ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნება, მოქმედების დაგეგმვა, განუვითაროს სიდინჯე, ყურადღების კონცენტრაციის უნარი, ეტაპობრივად განუვითაროს მაღალი კოგნიტური უნარი, საკუთარი ძალების რწმენა, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | წინსვლისკენ სწრაფვა, დაფასების და გაფრთხილების უნარი, ობიექტურობა, მოქნილობა.<br>➢ **სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების წრე** (I-VI კლასი), რომლის მიზანია: ხელი შეუწყოს სამყაროს შემეცნებასა და პიროვნების თვითგამოხატვას, მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების წარმოჩენას და განვითარებას, მოსწავლეებში ფანტაზიისა და წარმოსახვის უნარის განვითარებას.<br>ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • სასკოლო სასწავლო გეგმა (პროექტი);<br>• ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| **1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები** | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | 2022-2023 სასკოლო სასწავლო გეგმის (პროექტის) მიხედვით, სკოლაში იფუნქციონირებს ექვსი საგნობრივი კათედრა:<br>➢ ქართული ენისა და ლიტერატურის<br>➢ მათემატიკისა და ტექნოლოგიების<br>➢ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების<br>➢ უცხოური ენების<br>➢ საზოგადოებრივი მეცნიერებების |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ➢ სპორტისა და ესთეტიკური მეცნიერებების.<br><br>სასკოლო-სასწავლო გეგმაში დეტალურად არის წარმოდგენილი საგნობრივი კათედრების მუშაობის პრინციპები. როგორც დოკუმენტიდან ჩანს, რაც ასევე კათედრების ხელმძღვანელებთან გასაუბრებით დადასტურდა, მუშაობის პროცესში მნიშვნელოვანი აქცენტი გაკეთდება თანამედროვე სწავლა-სწავლების მეთოდებზე, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზზე, ურთიერთთანამშრომლობაზე, გამოცდილების გაზიარებაზე და ა.შ.<br><br>ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნის, უნარების და ღირებულებების შეძენას მოემსახურება კომპლექსური დავალებების შეთავაზება მოსწავლეებისთვის. შესაბამისად, კათედრებზე, გზამკვლევების მიხედვით, შემუშავებულია სავარაუდო კომპლექსური დავალებების მრავალფეროვანი ნიმუშები საგნებისა და საფეხურების მიხედვით. რამდენიმე მასწავლებელს წარმოდგენილი აქვს თემატური მატრიცა და კომპლექსური დავალება, თემატური მატრიცის ეტაპებზე წარმოდგენილი აქტივობები, რომლებიც მოიაზრებს მოსწავლის სხვადასხვა შესაძლებლობების გააქტიურებას და უნარების განვითარებას. მასწავლებლებთან ინტერვიურებისას გაირკვა იმ დამატებითი საინტერესო აქტივობებისა და მეთოდების შესახებ, რომელთა გამოყენებასაც გეგმავენ მომავალი სასწავლო წლის მანძილზე.<br><br>როგორც ზემოთ აღვნიშნეთ (1.1), სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა საგანმანათლებლო კლუბს, რომლებიც ასევე დაეხმარება მოსწავლეებს გამოავლინონ საკუთარი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შესაძლებლობები და სხვადასხვა მიმართულებით განავითარონ უნარები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • სასკოლო სასწავლო გეგმა (პროექტი);<br>• საგნობრივი გეგმები (მატრიცები და კომპლექსური დავალებები);<br>• მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები. |
| **შეფასება:** | **☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>**☐ ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| **1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის** | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სასკოლო სასწავლო გეგმის (პროექტის) მიხედვით სკოლა აღიარებს თითოეული მოსწავლის უნიკალურობას და გამოხატავს მზაობას, მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, უზრუნველყოს ისინი სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით.<br>დოკუმენტში გაწერილია ასევე ინკლუზიური განათლების პრინციპები, რომელიც მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიც არის ალტერნატიული სასწავლო გეგმის შემუშავება და გამოყენება, ისგ-ს ჯგუფის შექმნა, სსსმ აკადემიური მიღწევების შეფასება, დასწრებასა და გაცდენებთან დაკავშირებული რეგულაციები, ინფორმაცია სსსმ მოსწავლის შინ სწავლების შესახებ. აღწერილია ის პრევენციული მექანიზმები, რომელიც განაპირობებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის უსაფრთხოებას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • სასკოლო სასწავლო გეგმა (პროექტი);<br>• მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგები. |
| **შეფასება:** | **☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>**☐ ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| **1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად** | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას, სასკოლო სასწავლო გეგმით, განსაზღვრული აქვს შეფასების მიზნები და წესი. შეფასების წესი სრულად შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. როგორც დოკუმენტიდან ჩანს, რაც ასევე დაადასტურეს სკოლის წარმომადგენლებმა, მოსწავლეთა შეფასება განხორციელდება სამი კომპონენტის მიხედვით - საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი დავალებებით. სკოლისათვის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებები. მოსწავლეთა შეფასება განხორციელდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებებით. მათივე განმარტებით განმავითარებელი შეფასების კომპონენტი პრიორიტეტული იქნება სწავლა-სწავლების პროცესში, რაც ხელს შეუწყოფს მოსწავლის ინდივიდუალურ განვითარებას. შეფასების კრიტერიუმები გამჭირვალე და ცნობილი იქნება სასწავლო პროცესის დასაწყისში მოსწავლეებისათვის და მშობლებისათვის.<br>წარმოდგენილ სასკოლო-სასწავლო გეგმას დანართად ახლავს შეფასების რუბრიკების ნიმუშები, თუმცა იქვეა განმარტებული, რომ თითოეულმა მასწავლებელმა შესაძლებელია და სასურველიც თვითონ შეიმუშაოს ინდივიდუალური შეფასების რუბრიკა. ასევე მან უნდა გაანალიზოს შეფასების შედეგები და დაგეგმოს შემდგომი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ინტერვენციები. სასკოლო-სასწავლო გეგმაში მკაფიოდ არის განსაზღვრული შემაჯამებელი დავალებების აღდგენის გზები.<br>ედისონის სახელობის სკოლა ნოვაციის მოსწავლეთა შეფასების წესი სწავლა-სწავლების ხარისხის მართვაზეა ორიენტირებული და მიზნად ისახავს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვასა და სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • სასკოლო სასწავლო გეგმა (პროექტი). |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| **1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით** | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლაში შემუშავებულია დოკუმენტი -„ მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის დებულების დამტკიცების შესახებ“. დებულებით განსაზღვრულია: სკოლისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ურთიერთვალდებულებები, მშობლის სკოლაში გამოცხადების წესი, მოსწავლის მშობელთან კომუნიკაციის სტრატეგია - მათ შორის, მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი, მშობელთან ურთიერთობის ფორმა და პრინციპები, მშობელთა კრებების წარმართვის ფორმები და ჩატარების პერიოდი.<br>სასკოლო სასწავლო გეგმაში, წარმოდგენილია თავი - კლასის დამრიგებელი, რომლის თანახმად კლასის დამრიგებელს მოვალეობაში გაწერილი აქვს, რომ მან უნდა გააცნოს მოსწავლეს და მის მშობელს /კანონიერ წარმომადგენელს მათი უფლებები და მოვალეობები: სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | (სასწავლო წლის დაწყების პირველ კვირაში, ხოლო მოსწავლის სხვა სკოლიდან მობილობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ), სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები, მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევაში მოსალოდნელი სავარაუდო შედეგები და სხვ. გარდა ამისა, დამრიგებელს ევალება, რეგულარულად, ინდივიდუალურად (მინიმუმ თვეში ერთხელ მაინც) მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევის, დისციპლინის, პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში, შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს მას მოსწავლესთან და სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია. სხვა საკითხებთან ერთად კლასის დამრიგებელს ევალება ხელი შეუწყოს მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში. დოკუმენტის თანახმად, მშობელთან კომუნიკაცია შესაძლებელია სხვადასხვა ფორმით განხორციელდეს. გარდა პირისპირ ურთიერთობისა, სკოლა გეგმავს გამოიყენოს წერილობითი და სატელეფონო შეტყობინებები. ასევე, ელექტრონული ჟურნალები.<br>სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგებით დგინდება, რომ სკოლის ვებ.გვერდი და აქტიურობა სოციალურ ქსელებში, ხელს შეუწყობს მშობელთა და დაინტერესებულ პირთა ინფორმირებას. მათ მიერ იგეგმება, მშობელთა ჩართულობით, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ხასიათის ღონისძიებების ჩატარება აქტუალურ თემებზე: მშობლის როლი მოსწავლის განათლებაში და აღზრდაში, შვილთან ეფექტური კომუნიკაცია, ძალადობა და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე, ჯანსაღი ცხოვრების წესი, პერსონალური მონაცემების დაცვა და ა.შ. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით მშობელი უზრუნველყოფილი იქნება სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • დოკუმენტი „ მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის დებულების დამტკიცების შესახებ“.<br>• სკოლის შინაგანაწესი;<br>• სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგები. |
| **შეფასება:** | **☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>**☐ ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და გაუმჯობესების მიზნით შექმნილი აქვს დოკუმენტი “ხარისხის უზრუნველყოფის, სასკოლო სასწავლო გეგმის გადახედვისა და გაუმჯობესების მექანიზმები”, რომელიც მოიცავს დემინიგის ციკლს და რომლის მიხედვითაც სკოლა განახორციელებს სასწავლო პროცესის, ადამიანური და მატერიალური რესურსის მრავალმხრივ შეფასებას. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება განხორციელდება ორ ეტაპად: პროგრამის მიმდინარეობისას და პროგრამის დასრულების შემდეგ. შეფასების მეთოდოლოგია მოიცავს შემდეგ საკითხებს: შეფასების საგანს, ცვლილებების, წარმატებული პროცესის განმაპირობებელ ფაქტორებს, სტრატეგიას წარმატებული პროცესის გასახორციელებლად, მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზისთვის გამოყენებულ ხერხებს, ანგარიშს. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლას ასევე შემუშავებული აქვს დოკუმენტი "სასკოლო სასწავლო გეგმის, ადამიანური და მატერიალური რესურსების შეფასების კითხვარების დამტკიცების შესახებ". კითხვარები შემდეგი სახისაა: მოსწავლის მიერ მასწავლებლის და სასწავლო საგნის შეფასების კითხვარი; მასწავლებლის მიერ სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების, დაწესებულების რესურსისა და განვითარების შეფასების კითხვარი; მოსწავლის მიერ სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების, დაწესებულების რესურსისა და განვითარების შეფასების კითხვარი; ბიბლიოთეკის შეფასების კითხვარი; ინფორმაციული ტექნოლოგიების შეფასების კითხვარი; ადმინისტრაციული პერსონალის მიერ დაწესებულების რესურსის შეფასების კითხვარი; მოსწავლის შეფასების კითხვარი; პედაგოგის შეფასების ფორმა და სხვა.<br>სასწავლო პროცესის დასასრულს, სკოლა გეგმავს შეაჯამოს არსებული მონაცემები სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდით (SWOT ანალიზი), რაც შესაძლებლობას მისცემს სკოლას გაანალიზოს შეაფასოს როგორ განვითარდა სკოლა, რა გამოწვევების წინაშეა, გამოკვეთოს განვითარების პერსპექტივები და საფრთხეები.<br>აღნიშნული დოკუმენტები კარგად გამოკვეთს იმ ძირითად პრინციპებს, რაზედაც უნდა იყოს მიმართული სასკოლო სასწავლო გეგმის გაუმჯობესების მექანიზმები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • დოკუმენტი: "ხარისხის უზრუნველყოფის, სასკოლო სასწავლო გეგმის გადახედვისა და გაუმჯობესების მექანიზმები"<br>• სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების შეფასების სისტემა;<br>• კითხვარების ფორმები. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| | |
|---|---|
| **რეკომენდაციები:** | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| **რჩევები:** | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| **ხარვეზები:** | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| **სტანდარტის შეფასება** | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **სტანდარტი დარღვეულია** |

**2. მატერიალური რესურსი**

| | |
|---|---|
| **2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:** | |
| **ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: 1730 კვ.მ.** | |
| **დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლა, 10 წლიანი ქირავნობის ხლშეკრულების საფუძველზე, განთავსებულია 1730 კვ.მ. ფართის მქონე 2 სართულიან შენობაში, რაც დასტურდება აზომვითი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ნახაზებით. სკოლაში განთავსებულია: 20 საკლასო ოთახი, 1 ბიბლიოთეკა, 3 საბუნებისმეტყველო კაბინეტი, 1 ისტ-ის კაბინეტი, 1 მანდატურის ოთახი, 1 სამასწავლებლო, 2 დირექტორის მოადგილის კაბინეტი, 1 დირექტორის კაბინეტი, 1 ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის კაბინეტი, 1 სპორტული დარბაზი, 1 სამედიცინო კაბინეტი და სხვა პატარა სათავსოები. |
| *ფაქტობრივი მისამართი* | **თბილისი, ვაზისუბანი მე-2 მ/რ** |
| *მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი* | **N 01.17.07.021.003** |
| *კვ.მ.* | **1730 კვ.მ.** |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** | • ამონაწერის საჯარო რეესტრიდან, მომზადების თარიღი 11/04/2022 განცხადების N 882022242446;<br>• აზომვითი ნახაზები. |
| **შეფასება** | **☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>**☐ ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| **ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით** | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | დაწესებულებაში 20 საკლასო ოთახია, რომლებშიც განთავსებულია 336 ინდივიდუალური მერხი და შესაბამისი რაოდენობის სკამი. ყველა საკლასო ოთახში დგას მასწავლებლის მაგიდა და სკამი, კარადა, კიდია თაროები, პლაკატები. საერთო ჯამში სკოლის მართლზომიერ საკუთრებაშია 350 ინდივიდუალური მაგიდა და სკამი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • შესყიდვის დოკუმენტაცია; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • შენობის სკოლის ფართის აზომვითი ნახაზი;<br>• ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები. |
| **შეფასება:** | **☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>**☐ ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| **გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი** | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას სპორტული აქტივობებისთვის აქვს 450 კვ.მ-ის დარბაზი და ხელოვნურ საფარიანი სპორტული სტანდარტული ღია მოედანი კალათბურთის ფარებით. სპრტული დარბაზის მიმდებარედ განთავსებულია გასახდელები გოგონებისათვის და ვაჟებისთვის. დარბაზში 2 ჩოგბურთის მაგიდა და 2 შვედური კედელია. დარბაზში ინახება სხვადასხვა სპორტული ინვენტარი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • შესყიდვის დოკუმენტაცია;<br>• ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები. |
| **შეფასება:** | **☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>**☐ ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| **დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები** | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლაში 3 საბუნებისმეტყველო კაბინეტია, რომლებიც უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით. კაბინეტები აღჭურვილია შესაბამისი ლაბორატორიული მოწყობილობებით. სამივე კაბინეტში დგას კომპიუტერი და დამონტაჟებულია პროექტორი. ქიმიის კაბინეტი განთავსებული შენობის პირველ სართულზე, რომელსაც აქვს დამხმარე ოთახი. კაბინეტში განთავსებულია ერთი დიდი ოვალური მაგიდა დამცავი ზედაპირით |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | და სამი 2 ადგილიანი სპეციალური ლაბორატორიული მაგიდა ცდების ჩასატარებლად. სამივე მაგიდასთან დამონტაჟებულია 2-2 ონკანი, გამწოვი ფარი და განთავსებულია სხვასასხვა ლაბორატორიული ჭურჭელი, დამცავი ინდივიდუალური ფარები, ხელთათმანები. ლაბორატორიებში ყველა პირობაა შექმნილი კვლევების ჩასატარებლად. სკოლის დირექტორთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სკოლა გეგმავს ვირტუალური ლაბორატორიების შეძენას. შემუშავებულია და კაბინეტებში გამოკრულია სასკოლო ლაბორატორიების სარგებლობის წესი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • შესყიდვის დოკუმენტაცია;<br>• ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები. |
| **შეფასება:** | **☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>**☐ ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| **2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები** | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლაში არსებულ ყველა ოთახს აქვს ბუნებრივი განათების შესაძლებლობა.<br>სკოლის შენობა უზრუნველყოფილია ელექტროენერგიის და ცენტრალური გათბობის უწყვეტი სისტემით. შენობის ყველა სართულზე განთავსებულია სველი წერტილები, მათ შორის ადაპტირებული წერტილები გოგონებისა და ვაჟებისთვის. სველ წერტილებში დამონტაჟებულია თხევადი საპნის და ქაღალდის დისპენსერები. დერეფნებში განთავსებულია ხელის სანიტაიზერები. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • შესყიდვის დოკუმენტაცია;<br>• ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები. |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| **2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით** | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის ბიბლიოთეკა მდებარეობს შენობის მე-2 სართულზე და მოიცავს სამკითხველო დარბაზს, ოთახს ბიბლიოთეკარისთვის და საცავს. სამკითხველო დარბაზში განთავსებულია: 15 მაგიდა და 5 კომპიუტერი, ბიბლიოთეკარის ოთახში 4 მაგიდა და 1 საკონფერენციო ოვალური მაგიდა, 1 კომპიუტერი, 1 ქსეროქსი და 1 პრინტერი. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, რომელთანც გაფორმებულია შესაბამისი შრომის ხელშეკრულება. ბიბლიოთაკაში კარადებში განთავსებულია საინვენატარო წიგნში აღრიცხული 2902 წიგნადი ერთეული, მათ შორის მეთოდური და გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ასევე პერიოდიკა. წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და აღრიცხულია OpenBiblio -ს ელექტრონულ კატალოგში.<br>შემუშავებულია სასკოლო ბიბლიოთეკის მუშაობის კონცეფცია, რომელიც დამტკიცებულია აღმასრულებელი დირექტორის 12.04.2022 წლის N5 ბრძანებით. კონცეფციის თანახმად მკითხველთა გააქტიურებისა და მოსწავლეთა წიგნიერების დონის ამაღლების საქმეში ბიბლიოთეკამ უნდა გამოიყენოს მკითხველებთან მუშაობის სხვადასხვა მეთოდი და ფორმა:<br>• ლიტერატურული თამაშები<br>• ვიქტორინები |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • ლიტერატურული დღესასწაულები<br>• წიგნის კვირეულები<br>• წიგნის გამოფენები<br>• შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან<br>• შთაბეჭდილებები წაკითხულ წიგნებზე<br>• წიგნის პრეზენტაციები<br>• მოგზაურობა წიგნით<br>• ჩემი საყვარელი წიგნი<br>• ჩემი საყვარელი პერსონაჟი<br>• მკითხველის ფორმულარის დაცვა<br>• წლის წარჩინებული მკითხველი და სხვა.<br><br>ბიბლიოთეკის საქმიანობას არეგულირებს დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები, რომლებიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკარს შემუშავებული აქვს სამუშაო გეგმა, ბიბლიოთეკარს დებულებისა და ხელშეკრულების თანახმად ევალება პროექტებისა და სხვა საგანმანათლებლო აქტივობების მხარდაჭერა, სამუშაო გეგმის შემუშავება კათედრების ხელმძღვანელებთან და დამრიგებლებთან ერთად. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • წიგნადი ფონდის ინვენტარიზაციის ჟურნალი;<br>• წიგნადი ფონდის შესყიდვის დოკუმენტაცია;<br>• ბიბლიოთეკის დებულება;<br>• ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;<br>• OpenBiblio;<br>• ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები. |
| **შეფასება:** | **☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>**☐ ქვესტანდარტი დარღვეულია** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| 2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სსსმ და შშმ პირთათვის სკოლის შესასვლელში და მეორე სართულზე მოსახვედრად დამონტაჟებულია ასაკეცი მოძრავი პანდუსები. სკოლას აქვს ადაპტირებული სველი წერტილები, როგორც გოგონებისათვის, ასევე ვაჟებისთვის. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განსახორციელებლად ინტერნეტქსელში ჩართული 30 კომპიუტერი. სკოლის ფლობელობაშია ასევე 6 ლეპტოპი და 5 პროექტორი. მათ შორის, ისტ-ის კაბინეტში განთავსებულია 15 კომპიუტერი, ბიბლიოთეკაში 5 კომპიუტერი და 1 ლეპტოპი, საკლასო ოთახებში 5, დირექტორის და მოადგილეების კაბინეტებში 3 კომპიუტერი და ლეპტოპები, ფიზიკის კაბინეტში 1 კომპიუტერი და პროექტორი, ქიმიის კაბინეტში დამონტაჟებულია 1 კომპიუტერი და 1 პროექტორი. სკოლას დომენისა და ჰოსტინგის ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული კომპანია სს“სილქნეტთან“. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლის ვებგვერდია www.edison.edu.ge. რომელზეც არის ყველა ის ველი, რომელიც საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას მოემსახურება.<br>საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას მოემსახურება ასევე ელექტრონული ჟურნალი "EduPage". |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • სკოლის ვებგვერდი www.edison.edu.ge;<br>• ელექტრონული ჟურნალი "EduPage";<br>• შესყიდვის დოკუმენტაცია;<br>• დომენისა და ჰოსტიგის ხელშეკრულება. |
| **შეფასება:** | **☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>**☐ ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | |
|---|---|
| **ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სკოლას შემუშავებული აქვს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. საევაკუაციო გეგმების მიხედვით, შენობაში განთავსებულია 19 დამუხტული ცეცხლმაქრი, შესაბამისი საინფორმაციო პოსტერებით და დამონტაჟებულია ხანძრსაწინააღმდეგო კვამლის აღმომჩენი დეტექტორები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები;<br>• ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • შესყიდვის დოკუმენტაცია. |
| **შეფასება:** | **☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>**☐ ქვესტანდარტი დარღვეულია** |
| **ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | შენობის ყველა სართულზე, თვალსაჩინო, შესაბამის ადგილზე გამოკრულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ შემუშავებული საევაკუაციო გეგმები. სკოლას აქვს სათადარიგო გასასვლელიც. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები;<br>• საკადასტრო აზომვითი ნახაზები;<br>• საევაკუაციო გეგმები. |
| **შეფასება:** | **☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>**☐ ქვესტანდარტი დარღვეულია** |
| **გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლაში შექმნილი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის მექანიზმები სრულად შეესაბამება 2022 წლის 21 მარტის N41ნ/01-23/ნ ბრძანებით დამტკიცებულ სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტს და სამედიცინო მომსახურების სივრცის ფუნქციონირების წესს.<br>სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. კაბინეტის გვერდით მოწყობილია საიზოლაციო ოთახი,<br>სკოლის ექთანთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება და მის უფლება მოვალეობები განსაზღვრულია სკოლის დირექტორის ბრძანებით.<br>შემუშავებულია ჟურნალი, რომელშიც მოხდება მედიკამენტების გაცემის და ჩამოწერის აღრიცხვა. სკოლის მერ დამტკიცებულია „პანდემიის პირობებში ინფექციური დაავადებებისათვის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მზადყოფნისა და რეაგირების გეგმა“ COVID -19-სგან დაცვის ღონისძიებების დაგეგმვის და მათი ეფექტური განხორციელების მიზნით შექმნილია და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია „საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა“. სკოლის მიერ შემუშავებულ სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებში დეტალურად არის გაწერილი პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმებიც. სკოლას არ ჰყავს ექიმი. იხ. 3.4 |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები;<br>• საგანგებო სიტუაციების გეგმა;<br>• სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები;<br>• ,,პანდემიის პირობებში ინფექციური დაავადებებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმა“;<br>• ,,COVID-19-სგან დაცვის მიზნით საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა“;<br>• ექთანთან გასაუბრება;<br>• ,,სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები“. |
| **შეფასება:** | **☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>**☐ ქვესტანდარტი დარღვეულია** |
| **დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად** | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, რომელიც სრულ შესაბამისობაშია „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების მოთხოვნებთან. შესაბამისად წესი არ საჭიროებს შეთანხმებას მეცნიერებისა და განათლების სამინისტოსთან. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას გაზვნილი აქვს შესაბამისი წერილი.<br>(ბრძანება №77/ნ 2021 წლის 3 სექტემბერი-ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. - მუხლი 1, პუნქტი „4. კერძო სკოლა ვალდებულია იხელმძღვანელოს ამ წესით და დაიცვას იგი ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით შეიმუშაოს შესაბამისი წესი, რომელიც უზრუნველყოფს ამ წესით განსაზღვრული პრინციპების სრულად დაცვასა და ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას“).<br><br>სკოლა შეთანხმებულია და ავტორიზაციის წარმატებით გავლის შემთხვევაში გეგმავს ხელშეკრულების გაფორმებას საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები. |
| **შეფასება:** | **☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს უზრუნველყოფს შიდა 9 და გარე პერიმეტის 8 კამერა, რომლებიც შეესაბამება კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.<br>ვიდეო კამერების გამოსახულების მონიტორინგი და ჩაწერა განხორციელდება უსაფრთხოების მანდატურების ოთახში. ვიდეო კამერების ადმინისტრირების საკითხი დარეგულირდება პერსონალური მონაცემების დაცვით, ბრძანებით განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი/პირები - სკოლის დირექცია და უსაფრთხოების მანდატური. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები;<br>• ცეცხლმაქრების შეძენის დოკუმენტაცია;<br>• ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| |
|---|
| 2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლაში გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვისთვის შემუშავებული სკოლის დებულება და შინაგანაწესი შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ.<br>დებულებით რეგულირდება სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობა, განსაზღვრულია სკოლის მიზნები და ამოცანები, სკოლის სტრუქტურა და ყველა სტრუქტურული ერთეულის უფლება-მოვალეობები. სკოლის სტრუქტურული ერთეულებისათვის და მათი ეფექტური ფუნქციონირების მიზნით, სკოლაში შემუშავებულია თითოეული სტრუქტურული ერთეულის დებულება. ხოლო სკოლის შინაგანაწესით რეგულირდება ისეთი საკითხები, როგორიც არის: სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო, სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები და ფარგლები, შრომითი ურთიერთობის წარმოშობა, სკოლაში მასწავლებლის/თანამშრომლის მიღება და სამსახურებრივი შეთავსება შრომითი ურთიერთობის პირობები, შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა/საბოლოო ანგარიშსწორება, დასაქმებულის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა, მოსწავლის წახალისების ფორმები და დისციპლინური წარმოების თავისებურებანი, მოსწავლის უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება და მოსწავლის განცალკევება, მატერიალური პასუხისმგებლობა, მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის და სკოლიდან გადაყვანის პირობები, მოსწავლის ჩაცმულობის წესი და ა.შ.<br>სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილას და მისი გაცნობა შესაძლებელია სკოლის ვებ. გვერდზეც. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • სკოლის დებულება;<br>• სკოლის შინაგანაწესი. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას შემუშავებული აქვს ექვსწლიანი (2022-2028წწ.) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები (2022-2023 წწ).<br>ექვსწლიანი გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და მოიცავს გრძელვადიან მიზნებს, ასევე ამოცანებს, ვადებს, პასუხისმგებელი პირების შესახებ ინფორმაციას.<br>2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სკოლის ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმიდან და მოიცავს სკოლისათვის მნიშვნელოვან პრიორიტეტულ მიმართულებებს. ესენია: მართვისა და გადაწყვეტილების მიღების ორგანიზაცია; მასწავლებლის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება; სკოლის კულტურის გაუმჯობესებაზე ზრუნვა; უსაფრთხო გარემოს შექმნა სკოლაში; .მშობელთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში; მონიტორინგი და შეფასება.<br>ერთწლიანი სამოქმედო გეგმა დროშია გაწერილი, განსაზღვრულია შესასრულებელი კონკრეტული აქტივობები, ვადები და პასუხისმგებელი პირები. სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს როგორც საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებასა და დახვეწას, ასევე მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებასა და გაუმჯობესებას, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობას. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლამ წარმოადგინა SWOT ანალიზი, რომელზე დაყრდნობითაც გამოიკვეთა კონკრეტული ღონისძიებების გატარების საჭიროება სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზის საფუძველზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • სკოლის ექვსწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა;<br>• სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;<br>• სკოლის SWOT- ანალიზი. |
| **შეფასება:** | **☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>**☐ ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლაში შემუშავებულია საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომელიც შესაბამისობაშია არსებულ კანონმდებლობასთან და რომლის თანახმად სკოლაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა. წესი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • საქმისწარმოების წესი;<br>• საერთო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი;<br>• შემოსული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალი;<br>• გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალი;<br>• მოსწავლეთა ჩაწერის ანბანური წიგნი;<br>• შრომითი ხელშეკრულებების ღრიცხვის ჟურბნალი;<br>• მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვის ჟურნალი;<br>• პედაგოფიური საბჭოს ოქმების რეგისტრაციის ჟურნალი. |
| **შეფასება:** | **☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| **რეკომენდაციები:** | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| **რჩევები:** | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| **ხარვეზები:** | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| **სტანდარტის შეფასება** | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>**☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>**☐ სტანდარტი დარღვეულია** |

**3. ადამიანური რესურსი**

| 3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | არსებული მდგომარეობით სკოლის სტრუქტურა მოიცავს პარტნიორთა კრებას, სკოლის დირექციას, პედაგოგიურ საბჭოს, საგნობრივ კათედრებს, სკოლის ადმინისტრაციას.<br>სკოლის დირექცია შედგება სკოლის დირექტორისგან/აღმასრულებელი დირექტორისაგან, ფინანსური დირექტორისაგან და დირექტორის/აღმასრულებელი დირექტორის მოადგილეებისაგან. სკოლის დირექტორს/აღმასრულებელ დირექტორს ჰყავს მოადგილეები. სკოლის ადმინისტრაციულ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | პერსონალს განეკუთვნება: ფინანსური დირექტორი, აღმასრულებელი დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, საქმისწარმოების მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, ბუღალტერი, ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯერი, ექიმი/ექთანი, უსაფრთხოების მანდატური, იურისტი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი. სკოლის ტექნიკურ/დამხმარე პერსონალს განეკუთვნება დამლაგებელი და დარაჯი. სკოლას ჰყავს 29 მასწავლებელი.<br>ადმინისტრაციული და დამხმარე ტექ-პერსონალის და მასწავლებელთა უფლება-მოვალეობები გაწერილია დებულებაში, სამუშაოათა აღწერილობაში და ხელშეკრულებებში სტატუსების შესაბამისად.<br>წარმოდგენილი ადამიანური რესურსი, სრულად უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის მართვას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • სკოლის დებულება;<br>• სკოლის სტრუქტურა. |
| **შეფასება:** | **☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>**☐ ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| **ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ** |
|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **პედაგოგთა საერთო რაოდენობა** | **29** |
| **მოწვეული/მაძიებელი** | |
| **პრაქტიკოსი მასწავლებლი** | |
| **უფროსი მასწავლებლი** | **29** |
| **წამყვანი მასწავლებლი** | |
| **მენტორის სტატუსი** | |

| 3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა 29 მასწავლებლის პირადი საქმეები და მათში წარმოდგენილი განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. შესაბამისად დადასტურდა, რომ სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა და კონკურსის ჩატარების წესის შესაბამისად. ყველა მასწავლებელს აქვს უფროსი მასწავლებლის სტატუსი. ინტერვიურებისას გაირკვა, რომ ნაწილი მათგანი დარეგისტრირებულია წამყვანი/მენტორი მასწავლებლის გამოცდაზე.<br>სკოლის ყველა თანამშრომელს წარმოდგენილი აქვს ცნობები ნასამართლეობის შესახებ, აგრეთვე, ბევრ მათთგანს, ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დასტურდება, რომ ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში ყველა თანამშრომელი წარმოადგენს შესაბამის ცნობას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • მასწავლებელთა პირადი საქმეები; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • მასწავლებელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>• მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;<br>• სკოლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი;<br>• საკონკურსო დოკუმენტაცია;<br>• მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები. |
| **შეფასება:** | **☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>**☐ ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლაში, თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, რეგულირდება შინაგანაწესით. დოკუმენტში დეტალურადაა აღწერილი სკოლაში დასაქმებულ პირებთან შრომითი ურთიერთობის წარმოშობისა და შეწყვეტის, საბოლოო ანგარიშსწორებისა და დასაქმებულის წახალისების, ასევე დისციპლინური პასუხისმგებლობების ფორმები.<br>შინაგანაწესის და ასევე წარმოდგენილი დოკუმენტაციის (კონკურსის გზით აყვანილი მასწავლებლების საკონკურსო შედეგები) თანახმად, დასტურდება, რომ სკოლაში პედაგოგის მიღება ხდება კონკურსის საფუძველზე კანონმდებლობით დადგენილი წესით. წესით განსაზღვრულია ვაკანტური საათების შესავსებად შიდა და ღია კონკურსის ჩატარების ფორმები. წესი დეტალურად აღწერს კონკურსის გამოცხადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებს და განსაზღვრავს კანდიდატის შესაბამისობას ვაკანტური საათების დასაკავებლად დადგენილ სავალდებულო მოთხოვნებთან. წესის თანახმად განცხადება ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ქვეყნდება საჯაროდ, ინტერნეტსივრცეში არსებულ დასაქმების ვებგვერდზე (მასწავლებლის ვაკანსიის შემთხვევაში www.pedagogi.ge/www.teacherjobs.ge-ზე), ხოლო განცხადება შიდა კონკურსის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს სკოლაში დასაქმებულთათვის ხელმისაწვდომ ადგილას.<br>შინაგანაწესით განსაზღვრულია ასევე დასაქმებულის წახალისების და დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმები. დასაქმებულის წახალისების თუ სანქციების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება სკოლის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით. დირექტორის მოადგილე/შესაბამისი საგნობრივი კათედრა/პედაგოგიური საბჭო, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი უფლებამოსილია წერილობით მიმართოს სკოლის დირექტორს დასაქმებულის/დასაქმებულების წახალისების თხოვნით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • კონკურსის ჩატარების წესი;<br>• სკოლის შინაგანაწესი;<br>• სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები. |
| **შეფასება:** | **☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>**☐ ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლაში დასაქმებულ ყველა პირთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსსა და მოქმედ კანონმდებლობას. შრომითი ხელშეკრულებები შეიცავს შემდეგ პუნქტებს: ზოგად დებულება, მხარეთა უფლება -მოვალეობა, სამუშაო დრო, შესვენების დრო, შესვენების მიცემის წესი, შრომის ანაზღაურების წესი, მხარეთა პასუხისმგებლობისა და |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ზეგანაკვეთური ანაზღაურების წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა.<br>შრომითი ხელშეკრულებები დანომრილია დაწესებულებაში დამტკიცებული საქმისწარმოების წესის შესაბამისად და აღრიცხულია შესაბამის სარეგისტრაციო ჟურნალში. ასევე თითოეულ თანამშრომელზე გახსნილია პირადი საქმე, რომელშიც განთავსებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით.<br>სკოლას 2022 წელს აპრილში გაფორმებული აქვს მასწავლებლებთან ერთწლიანი შრომითი ხელშეკრულებები (რომელიც ამოქმედდება ავტორიზაციის მიღებისთანავე).<br>სკოლას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ექთანთან, თუმცა ვიზიტის პერიოდში, ექსპერტთა რჩევით ვაკანსია გამოაცხადა ექიმის თანამდებობაზე http://teacherjobs.ge/43255 (დანართი N1). სკოლას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელთან და ამავე დროს, პარალელურად გამოცხადებული აქვს ვაკანსია, იმ შემთხვევისთვის, თუ ერთი მასწავლებლის სრული დატვირთვა არ იქნება საკმარისი http://teacherjobs.ge/43230. სკოლას ასევე ვაკანსია აქვს გამოცხადებული ფსიქოლოგის http://teacherjobs.ge/43172 და სპეციალური მასწავლებლის თანამდებობაზე http://teacherjobs.ge/43170. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • შრომითი ხელშეკრულებები<br>• პერსონალის პირადი საქმეები |
| **შეფასება:** | **☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>**☐ ქვესტანდარტი დარღვეულია** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| 3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას შემუშავებული აქვს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ეროვნული სასწავლო გეგმის, „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 2 ივნისის N97/ნ ბრძანების და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების დებულება, რომელიც განსაზღვრავს სკოლის ადამიანური რესურსის მართვისა და განვითარების მექანიზმებს.<br>დებულების თანახმად ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების მექანიზმების შემოღებისა და განხორციელების მიზანია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების მიზნით სკოლაში იგეგმება: თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო ღონისძიებების ორგანიზება, ადამიანური რესურსების მართვის მეთოდებისა და შესაბამისი პროცედურების ეფექტიანობის შეფასება, ადამიანური რესურსის სტაბილურობის, აგრეთვე, დინამიკის სტატისტიკური ანალიზის შემუშავება და შესაბამისი რეკომენდაციების გატარება, თანამშრომელთა გუნდური მუშაობის და მათ შორის არაფორმალური ურთიერთობების განვითარება, კონსულტაციებისა და სადისკუსიო შეხვედრების ორგანიზება.<br>დებულების თანახმად ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების მექანიზმების განხორციელებას ხელმძღვანელობს დირექტორის მოადგილე დირექტორთან შეთანხმებით, რომლის მთავარი მოვალეობაა თანამშრომელთა პროფესიული და |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | კარიერული განვითარების მიზნით ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობის უზრუნველყოფა.<br>დოკუმენტის თანახმად მასწავლებელთა პროფესიული განვითარება მოიცავს შემდეგ ეტაპებს: პროფესიული განვითარების მოთხოვნების იდენტიფიცირებას, გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად სხვადასხვა ღონისძიების შერჩევა/დაგეგმვას, შესაბამისი კანდიდატების შერჩევას, მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის რეგულარულ შეფასებას, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ განხორციელდება.<br>სკოლაში, სწავლების ხარისხის ამაღლებისა და მასწავლებელთა თვითრეფლექსიის მიზნით, იგეგმება საგაკვეთილო პროცესის მონიტორინგი, მასწავლებელთა პროფესიულ ცოდნისა და უნარების შემოწმება, გაკვეთილებზე დასწრება.<br>სკოლის ადამიანური რესურსის მართვა და განვითარება გაწერილია სკოლის ერთწლიან და ექვსწლიან სტრატეგიული განვითარების გეგმებშიც.<br>სკოლას ასევე გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი უნივერსალური სწავლების ცენტრთან, რომელიც მოიცავს სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით ტრენინგების ორგანიზებას. სკოლას ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებული აქვს სოციალური ინოვაციების და მეწარმეობის ცენტრ SING-თან. მემორანდუმის ფარგლებში იგეგმება სხვადასხვა ტრენინგების ორგანიზება მეწარმეობაზე, სოციალურ ინოვაციაზე და სოციალურ მეწარმოებაზე. ეს მემორანდუმი სამომავლოდ მიზნად ისახავს Erasmus + გაცვლით პროგრამებში მოსაწვლეთა და მასწავლებელთა მონაწილეობის მხარდაჭერას. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ დაწესებულების ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოყოფილი იქნება შესაბამისი ფინანსური რესურსი მასწავლებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებლად. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების მექანიზმები;<br>• სკოლის დირექტორის 12.04.2022 წლის N8 ბრძანება ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ;<br>• ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი უნივერსალური სწავლების ცენტრთან;<br>• ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სოციალური ინოვაციების და მეწარმეობის ცენტრ SING-თან. |
| **შეფასება:** | **☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>**☐ ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის დირექტორმა, ადმინისტრაციამ და სკოლის მასწავლებლებმა ერთობლივად იმუშავეს სასკოლო სასწავლო გეგმაზე და სასწავლო რესურსის შექმნაზე. ისინი რეალურად და ობიექტურად აფასებენ საკუთარ გამოწვევებს და მათთან გამკლავების ეფექტიან გზად ურთიერთთანამშრომლობას მიიჩნევენ. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგები. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| | |
|---|---|
| **რეკომენდაციები:** | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| **რჩევები:** | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| **ხარვეზები:** | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| **სტანდარტის შეფასება** | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **სტანდარტი დარღვეულია** |

● თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

## XI. თანდართული დოკუმენტაცია

თბილისი, 05.07.2022

გვერდების რაოდენობა -51
დანართი N1 გამოქვეყნებული ვაკანსია ექიმის თანამდებობაზე http://teacherjobs.ge/43255 გვ.1



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.